საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

საანგარიშო პერიოდში (10/12/23-10/12/24), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალ, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრში (შემდგომში – ცენტრი), საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით რეგისტრირებული იყო 65 განცხადება, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა – 60. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 მოქალაქეს განცხადება რადგან, მათ მიერ მოთხოვნილი ზოგირთი ინფორმაცია სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს ან კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოთხოვნილი იყო პერსონალურ მონაცემების შემცველი ინფორმაცია, რის თაობაზეც ეცნობათ ადრესატებს. ამჟამად ცენტრის წარმოებაშია საანგარიშო პერიოდში შემოსული 3 განცხადება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე, ცენტრში განცხადება არ შემოსულა.

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას, საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

ცენტრის დირექტორის 2023 წლის 19 აპრილის № 430929 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირია ცენტრის იურისტი- თეა შაყულაშვილი .

საჯარო მოსამსახურეთა მიერ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრი საჯარო ინფორმაციის გაცემას ახორციელებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (2024 წლის 16 მარტამდე- 2011 წლის 28 დეკემბრის კანონის, ხოლო შემდგომში-2024 წლის 16 მარტის კანონის) და ცენტრის დირექტორის 2024 წლის 28 მაისი ბრძანების – „სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, პერსონალური მონაცემების დამუშავების დებულების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.
ცენტრი, პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას ახორციელებდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (2024 წლის 16 მარტამდე- 2011 წლის 28 დეკემბრის კანონის, ხოლო შემდგომში-2024 წლის 16 მარტის კანონის) და „სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, პერსონალური მონაცემების დამუშავების დებულების დამტკიცების შესახებ“, ცენტრის დირექტორის 2024 წლის 28 მაისი ბრძანების შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებასთან ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში ხარჯი არ გაწეულა, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა არ განხორციელებულა.